ოქმი:**ო03. 3725210001**

თარიღი:**29/07/2025**

ოქმი № 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2025 წელი, 28 ივლისი

ქ.ოზურგეთი

12.00-12 .30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ. თოიძე, ნ. ღაჟონია, ტ. აროშიძე, ლ. ბიგვავა, ბ. მელუა, მ. ვაშალომიძე, გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

სხდომის თავმჯდომარემ, გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, განაცხადა, რომ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი შემოსულია არსებული კანონმდებლობის დაცვით, ნორმატიული სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც აღნიშნა- ბიუჯეტი იზრდება 46 181,7 ათასი ლარით, ბიუჯეტი დაგეგმილი 43 400,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრება 89 581,7 ათასი ლარით. შემდეგ კონკრეტულად დაასახელა მთავრობის ის გადაწყვეტილებები, რომლის შესაბამისადაც

გამოყოფილი იქნა დამატებითი ასიგნებები, ისაუბრა საკუთარი შემოსავლებით მიღებულ ზრდაზე, მუხლებს შორის თანხების ცვლილებებზე, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნის პროექტი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, კონკრეტულ ცვლილებებზე კი ისაუბრა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგით გათვალისწინებული ორივე საკითხი წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი